

ფენბექსი 500 (Fenbeks 500)

Fenbendazole

წამლის ფორმა

ტაბლეტი პერორალურად მისაღები, გამოიყენება ვეტერინარიაში

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი: ანტიჰელმინთური საშუალება, ATCvet კოდიQP52AC13 - ფენბენდაზოლი.

სამიზნე სახეობა: მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, ცხენი, ვირი, ჯორი, ღორი, ძაღლი, კატა, ფრინველი

შემადგენლობა

ერთი ტაბლეტი შეიცავს, აქტიურ ნივთიერებას: ფენბენდაზოლს 500 მგ

დამხმარე ნივთიერება:

სახამებელი კარტოფილის, ლაქტოზა, ტალკი, მაგნიუმის სტეარატი, წითელი საღებავი, პოლივინილპიროლიდონი

აღწერა: ვარდისფერი ტაბლეტი. ტაბლეტს ერთ ზედაპირზე აქვს ჭდე, მეორე ზედაპირზე წარწერა BIO, შესაძლოა აღენიშნებოდეს ჩანაწინწკლები.

გამოშვების ფორმა: №50 და №300 ტაბლეტი პოლიეთილენის ფლაკონში

ფარმაცოლოგიური თვისებები

ფენბენდაზოლი წარმოადგენს ბენზიმინდაზოლის ჯგუფის წარმომავლს, მას ახასიათებს ფართო სპექტრის ანტიჰელმინთური მოქმედება, რომელიც იწვევს ნემატოდების, ცესტოდებისა და ზოგიერთი ტრემატოდების სიკვდილს მათი განვითარების ყველა სტადიაზე (კვერცხი, ლარვა, ზრდასრული ფორმა). ანტიჰელმინთური საშუალების მოქმედების მექანიზმი იწვევს პარაზიტის ორგანიზმში ენერგეტიკული ცვლის დარღვევასა და ნაწლავის უჯრედების მიკროარხებში ტუბულინის პოლიმერიზაციის დათრგუნვას, რის გამოც ისინი ილუპებიან და ფეკალიებთან ერთად გამოიდევენება გარემოში.

პრეპარატი ხასიათდება დაბალი ტოქსიკურობით, დოზების მრავალჯერადი გადაჭარბებისას ცხოველებში არ ვლინდება გვერდითი ეფექტები, რაც საშუალებას იძლევა დეჰელმინთიზაცია საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დასუსტებულ და მაკე ცხოველებში.

გამოყენების ჩვენებები

პრეპარატი გამოიყენება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრისა და თხის მონიეზიოზის, დიქტიოკაულოზის, ბუნოსტომოზის, ჰემონქოზის, ეზოფაგოსტომოზის, ნემატოდიროზის, ოსტერტაგიოზის, ქაბერტიოზის, კოოპერიოზის, სტრონგილატოზის;

ღორის ასკარიდოზის, ეზოფაგოსტომოზის, სტრონგილატოზის, ტრიქოცეფალოზის, მეტასტონგილოზის;

ცხენის პარასკარიოზის, სტრონგილატოზის;

ქათმის ასკარიდოზის, ჰეტერაკიდოზის;

ძაღლებისა და კატებისა ტოქსოკაროზი, ტოქსასკარიდოზი, ანკილოსტომოზი, უნცინარიოზი, დიპილიდოზი, ტენიილიოზი.

გამოყენების წესი და დოზები

პრეპარატი მიიღება ინდივიდუალურად ან ჯგუფური მეთოდით, პერორალურად ერთჯერადად, საკვებთან ერთად.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, თხის, ცხენის, ვირის, ჯორის, ღორის კუჭ-ნაწლავის და ფილტვის ნემატოდების, ცესტოდების წინააღმდეგ 1ტაბლ/50კგ ც.წ-ზე; დიკროცელიოზის დროს 1 ტაბლ/25კგ ც.წ-ზე.

ფრინველს: 1 ტაბლ/15-30კგ ც.წ-ზე;

ძაღლს, კატას: 1 ტაბლ/10კგ ც.წ-ზე.

გვერდითი მოვლენები

ფენბექსი ხასიათდება მცირე ტოქსიკურობით. მაგალითად, დოზების მრავალჯერადი გადაჭარბებისას, ცხვრებში არ აღინიშნება გვერდითი ეფექტები. რაც საშუალებას იძლევა დეჰელმინტიზაცია ჩატარდეს მძიმე დაავადებულ და დასუსტებულ ცხოველებში. მკურნალობა უსაფრთხოა მაკე ცხოველებისათვის, მაკეობის ნებისმიერ სტადიაზე.

უკუჩვენებები

უკუჩვენება არ არის დადგენილი.

დაყოფნების პერიოდი

ცხოველთა და ფრინველთა დაკვლა შეიძლება დეჰელმინტიზაციიდან 14 დღის შემდეგ. აღნიშნულ ვადაზე ადრე ცხოველთა ხორცი შეიძლება გამოყენებული იქნას ხორცისმჭამელი ცხოველების საკვებად ან ძვლ-ხორცის წარმოებაში.

რძე საკვებად გამოიყენება დეჰელმინტიზაციიდან 4 დღის შემდეგ. დეჰელმინტიზაციიდან 3 დღის განმავლობაში რძის გამოყენება შეიძლება ცხოველთა საკვებად.

შენახვის პირობები

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე, ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

ვარგისობის ვადა: 3 წელი

მწარმოებელი ქვეყანა: შპს „ბიოტეკსი“, საქართველო